შირაქი

№28 (9.642)
2-9 აგვისტო 2014 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

რატომ აღმოჩნდა „შავ სიაში“ შპს „ნოვა“?!

შპს „ნოვა“-ს, რომელსაც დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მილიონიანი პროექტი უნდა განეხორციელებინა, დედოფლისწყაროს გამგეობამ ფინანსური სანქცია დააკისრა, რის გამოც სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერდა.

როგორც დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, კომპანია სამუშაოებს არავჯერონვად ასრულებდა, ბოლო დროს კი პროცესი მიატოვა, რის გამოც თვითმმართველობის ორგანო იძულებული გახდა მათთან ურთიერთობა გაეწყვიტა. საბოლოო ჯამში შპს „ნოვამ“ ჯარიმის სახით 88 000 ლარი გადაიხადა.

„კომპანიამ აღებული ვალდებულებები არ შეასრულა და საქმე შუა გზაში მიატოვა. პროცესი ცოტა გაჭიანურდება, დაახლოებით ორი თვე კიდევ დაგვჭირდება, რადგან ხელახლა გამოცხადდა ტენდერი და უნდა გამოვლინდეს კომპანია, რომელიც სამუშაოებს გააგრძელებს. ეს კომპანია კი „შავ სიაში“ შევიყვანეთ, რაც მის რეპუტაციაზე ცუდად იმოქმედებს. თუმცა, ვიდრე ახალი გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება, პარალელურად შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება,“ - აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

შპს „ნოვა“ ტენდერში გამარჯვებულად მიმდინარე წლის დასაწყისში გამოცხადდა და სამუშაოები მარტის თვიდან დაიწყო. სამუშაოების დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს ყველაზე დიდ და მრავალრიცხოვან სოფელ ზემო მაჩხაანში წყალმომარაგების პრობლემა მოგვარდება.

ამჯერად დედოფლისწყაროს გამგეობა ტენდერის ხელახლა გამოცხადების საჭიროების წინაშე დადგა, რამაც პროცესის გაჭიანურება გამოიწვია. ადგილობრივები კი ცხელ ზაფხულს კვლავაც წყალმომარაგების პრობლემით შეწუხებულნი ხვდებიან.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ზემო მაჩხაანში წყლის ცენტრალური რეზერვუარის სარეაბილიტაციო სამუშაოების გასაგრძელებლად უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანია. შპს „სანი ემი“ სამუშაოების შესრულების ვალდებულებას 568 000 ლარად იღებს. დედოფლისწყაროს გამგეობა კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებას მომავალი კვირიდან გეგმავს, რის შემდეგაც შეჩერებული სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდება.

„ტენდერი უკვე წარმატებით დასრულდა და პროცესი აღარ გაჭიანურდება. რაც მთავარია, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, რომელმაც მონანილე კომპანიებს შორის ყველაზე დაბალი თანხა მოითხოვა, უკვე წარმოადგინა სატენდერო დოკუმენტაცია. შევისწავლეთ მათი შესაძლებლობები, წარსულის გამოცდილება, კომპეტენცია, განვიხილეთ წარმოდგენილი მასალები და ყველაფერი დამაკმაყოფილებელია. უახლოეს დღეებში ჩამოვლენ კომპანიის წარმომადგენლები და ხელშეკრულებას გავაფორმებთ, ხელმოწერის შემდეგ კი გაგრძელდება სამუშაოები. იმედი გვაქვს, გამარჯვებული კომპანია ამჯერად კეთილსინდისიერად შეასრულებს აღებულ ვალდებულებას. რაც შეეხება წინა ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „ნოვას“, მათ ჯარიმა ორ ეტაპად დაეკისრა, 28 000 და 60 000 ლარის ოდენობით,“ - აცხადებენ დედოფლისწყაროს გამგეობაში.

ადგილობრივი მოსახლეობა წყლის რეაბილიტაციის პროცესს საშვილიშვილოს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ზემო მაჩხაანის ნომერ პირველი პრობლემა წყალია. რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას მაჩხაანელები სიხარულით შეხვდნენ, მით უფრო, რომ მასზე რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრიც დაასაქმეს, თუმცა პროცესის გაჭიანურების გამო გულისწყრომას გამოხატავენ. მაჩხაანელებს იმედი აქვთ, რომ პროექტის დასრულების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა ამოისუნთქებს, საუბნო ონკანები, რიგში ჩამდგარი ურიკები და მეზობლებს შორის კონფლიქტები წარსულს ჩაბარდება. სამწუხაროა, რომ მიმდინარე წელს ამ სოფელში კვლავ ასეთი რეალობაა.

ილია მარტყოფლიშვილი

ხორბლის ფასი და მისი რეალიზაცია

წლევანდელი ცუდი მოსავლის მიუხედავად, დედოფლისწყაროელი ფერმერებისთვის დღის წესრიგში მაინც დგება ხორბლის რეალიზაციის საკითხი. დედოფლისწყაროს საწყობები, რომლებიც წლების მანძილზე სავსე იყო ხორბლისა და ქერის ხვავებით, წელს ცარიელია. ამბობენ, ხორბალზე დეფიციტი შეიქმნება და მისი ფასი ზამთარში ბევრად გაიზრდებაო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ დღემდე პროდუქტის დეფიციტი მის ფასზე აისახა. ხორბლის ფასი წელს, ისევე, როგორც გასულ წელს, 50 თეთრია, რაც კიდევ უფრო ზრდის სხვაობას თვითღირებულებასა და რეალიზაციას შორის. აქედან გამომდინარე მოტივაცია იმის, რომ ამ პირობებში გლეხი ხორბლის მოყვანით კვლავ დაინტერესდეს, ნაკლებია. თუ მოსავალი ბევრია, გასაგებია, რომ მისმა სარეალიზაციო ფასმაც დიდი კონკურენციის ფონზე დაიწიოს, მაგრამ თუ მასზე მოსავლის აღების პროცესშივე კრიზისია, მაშინ მისი ფასი იმდენად მაღალი უნდა იყოს, რომ ნაწილობრივ მაინც გადაფაროს ფერმერის მიერ გაღებული დანახარჯი. აქვე დგება მეორე საკითხიც, თუ ფასიც დაბალია და ნედლეულზეც უკვე კრიზისია, მაშინ რატომ ჭირს მისი რეალიზაცია?!

აღნიშნულთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს გამგეობასთან არსებულ სამსახურში აღნიშნავენ, რომ რეალიზაცია ხორბლის დაბალი ხარისხის გამო ჭირს, -„მოგვეხსენება, წელს მცირე მოსავალთან ერთად ფერმერებმა კიდევ იმით იზარალეს, რომ უხარისხო მარცვალი გამოიტანეს მინდვრებიდან, გასული ათი წლის მანძილზე რომ არ დათესილა, წელს შირაქში მაღალი ხარისხის თესლიც დაითესა, ყველა სტანდარტის დაცვით მოუარეს, გაჩენილ მავნებლებსაც სათანადოდ ებრძოლეს, მაგრამ გვალვამ მარცვალი დაამშია, თითქმის არცერთი ნაკვეთიდან მოყვანილი ხორბალი და ქერი აღარ გამოდგება სათესლედ, პარალელურად მოთხოვნაც ასეთ მარცვლეულზე დაბალია, მსხვილი წისქვილკომბინატები მაღალი ხარისხის ხორბალზე მუშაობენ, ისინი ფასს იმაში იხდიან, რაც მოგებას მისცემთ, შირაქის ხორბალი კი მათ დაზარალებთ და ამიტომ ერიდებიან მის შესყიდვას.”-ამბობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს გამგეობასთან არსებულ სამსახურში.

როგორია რეალურად ფერმერთა მდგომარეობა, რამდენად ახერხებენ მარცვლეულის რეალიზაციას და რა საკითხს აყენებენ ისინი უპირველესად, ამასთან დაკავშირებით თავად ფერმერების აზრი მოვისმინეთ.

ელიზბარ იმერლიშვილი, - სათესლე ხორბალს ვინც რას იშოვის, იმას დათესავს, შეიძლება ზოგმა ქართლიდან შემოიტანოს. წისქვილკომბინატებში ხორბალი რუსეთიდან შემოდის და ისიც შეიძლება დათესონ, ზოგი ისევ თავის ხორბალს დათესავს, მაგრამ ეს მომავალი წლის მოსავალზე უარყოფითად იმოქმედებს. რაც შეეხება ხორბლის ფასს, დიდი წისქვილკომბინატები ამ პერიოდისთვის ცდილობენ, რომ ხორბლის ფასი დააგდონ. არადა, ეს ის პერიოდია, როცა, უნდათ თუ არა, თითქმის ყველა ყიდის ხორბალს, რადგან მოსავლის აღების ვალი აქვთ და იძულებულნი არიან, რა ფასსაც გადაუხდიან, გაყიდონ.

მერაბ როგიტაშვილი, - ვისაც ხორბალი გვეთესა, ისე დავზარალდით, რომ, ალბათ, ხუთი წელი წელში ვეღარ გავიმართებით ეკონომიურად. ხორბალმა რომ არ გაამართლა, მზესუმზირის იმედიღა მქონდა, მაგრამ 45 ჰექტარი მზესუმზირა სულ ნაკვეთში ჩახმა გვალვისგან. ასეთი გვალვა, ამ ხნის კაცი ვარ და ათეული წლებია, არ მახსოვს. სათხოვარი მექნება მთელი ფერმერების სახელით, რომ შემოვიდეს სათესლე ხორბალი, თუნდაც სესხებით, თუნდაც პროცენტით, ან დაგვირიგონ და როგორც ადრე იყო, შემოდგომაზე უკან დავაბრუნოთ. მთავარია, დაგვეხმარნენ სათესლე ხორბლით. ამჯერად ვენახის იმედადღა დავრჩი, საუკეთესოდ მოვლილი ვენახი მაქვს წინამხარში, ვნახოთ თუ ღმერთმა გადმომხედა და ამან მაინც გაამართლა.

(გაგრძელება გვ.4)

ეროვნულ-პატრიოტული საქმე

გვ. 4

როცა გარდაცვალება უდრის დაბადებას...
გვ. 6

დიდი ჰესების ფასი

გველის დაგესვლის 5 შემთხვევა დედოფლისწყაროსა და საგარეჯოში


გილოცავთ ელიაობას! გეწეოდეთ მისი მადლი!

პრემიერი — გაერო პირდაპირ მოგვიწოდებს, რომ დაჩქარდეს მძიმე დანაშაულებების გამოძიების პროცესი

გაეროს პირდაპირი რეკომენდაცია და მოწოდებაა, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს წარსულში ჩადენილი მძიმე დანაშაულებების გამოძიების პროცესი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ - მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა.

მისი თქმით, მართალია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მეოთხე პერიოდული ანგარიში წარმოადგენს პირველად დასკვნას, მაგრამ ის საკმაოდ დასაფიქრებელია საქართველოს ხელისუფლებისთვის, რადგან საუბარია წარსულში ჩადენილი მძიმე დანაშაულებების — ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიების მნიშვნელობაზე.

„გაეროს პირდაპირი რეკომენდაციაა და მოწოდება, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს წარსულში ჩადენილი მძიმე დანაშაულებების გამოძიების პროცესი. როგორც მათ პირველად დასკვნაშია აღნიშნული, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. იქ საუბარი არის ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორიცაა წამება, ქონების დატაცება და მრავალი სხვა. ეს არის მართლაც დასაფიქრებელი ჩვენი მთავრობისთვის. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა პროცესი იყოს გამჭვირვალე. პროცესი არის ღია და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩვენი ქვეყნის პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს, დაინტერესების შემთხვევაში ჩაერთონ ამ პროცესში. მით უმეტეს, რომ საუბარია მძიმე დანაშაულებების გამოძიებაზე და ჩვენ მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ პროცესების გამჭვირვალობას და გახსნილობას,“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სტუდენტთა მობილობის პროცესი დაიწყო

2014 — 2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტთა მობილობის პროცესი დაიწყო. მობილობაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტები წწწ.სტუდენტს.ექე.გე—ზე 21 აგვისტოს 18:30 საათამდე უნდა დარეგისტრირდნენ. მობილობაზე 11 243 ვაკანტური ადგილია გამოცხადებული.

კონკურსში გამარჯვება სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაგროვებულ სკალირებულ ქულაზეა დამოკიდებული.

ამ ვადის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია პრორიტეტების მიხედვით ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა აირჩიოს. მობილობის საფასური 40 ლარია, სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენელი სტუდენტები გადასახადისაგან თავისუფლდებიან. მობილობის საფასურის გადახდა საქართველოს ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან სწრაფი გადახდის აპარატებისა და ინტერნეტის მეშვეობით არის შესაძლებელი.

მობილობაში მონაწილე პირები რეგისტრაციის დაწყებიდან შედეგების გამოქვეყნების დღის ჩათვლით ეტაპობრივად მიიღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. იმუშავებს მობილობის ცხელი ხაზი და ცენტრის ოპერატორები სტუდენტებს დახმარებას გაუწევენ. ტელ: 2 200 220 (3522 ან 3523).

მობილობაში მონაწილეობას სულ 58 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს. 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობაში არ მონაწილეობენ: შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი გორგასალი; სსიპ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი; შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“; ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტი; შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი; შპს ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი. ასევე, სპეციფიკიდან გამომდინარე, მობილობაში არ მონაწილეობს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული ექვსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

მობილობის შედეგები 25 აგვისტოს განათლების ხარისხის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდება. შედეგების გამოცხადებისთანავე სტუდენტმა მიმღებ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა მიაკითხოს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს მობილობით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა წელიწადში ორჯერ შეუძლიათ.

სახალხო დამცველი უვადო პატიმრების სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების წესში ცვლილებას ითხოვს

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოს პარლამენტს მიმართავს წინადადებით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობის შემსუბუქების და მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, იმსჯელოს ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადის 15 წლამდე შემცირებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტს, რომელიც მიღების შემთხვევაში, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირს მისცემს უფლებას, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს უვადო თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლების თხოვნით თავისუფლების აღკვეთის 20 წელის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ მიმართოს. კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციით, მსჯავრდებულებს საბჭოსთვის მიმართვის უფლება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის 25 წლის მოხდის შემდეგ უჩნდებათ.

ცვლილებების ინიცირებამდე რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებით დამტკიცდა შეწყალების ახალი წესი, რომელმაც 25 წლიდან 15 წლამდე შეამცირა მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის დრო.

სახალხო დამცველის აზრით, აღნიშნული ინიციატივები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებზე არ გავრცელებულა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტია.

„საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და პენიტენციური სისტემის სისტემურმა ნაკლოვანებებმა და უსამართლობამ ამ პირებს სულ მცირე იმგვარივე ზიანი მიაყენა, როგორც იმავე პერიოდში ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ სხვა პირებს. ევროპის საბჭოს განვითარებული დემოკრატიები თავისუფლების აღკვეთის 15 წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ აძლევენ მსჯავრდებულებს მათი სასჯელის გადახედვის მოთხოვნის უფლებას და საქართველოს პარლამენტს მიმართავს წინადადებით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობის შემსუბუქების და მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, იმსჯელოს ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადის 15 წლამდე შემცირებაზე, რაც კიდევ უფრო მეტად დაახლოებას მას საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან“, — აცხადებს უჩა ნანუაშვილი.

გველის დაგესვლის 5 შემთხვევა დედოფლისწყაროსა და საგარეჯოში

სტატისტიკის მიხედვით, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, მაისსა და ივნისში დაფიქსირდა დაგესვლის 5 შემთხვევა და შხამიანი მწერების 15 ნაკბენი. სხვა მუნიციპალიტეტებში მსგავსი შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

„მაისში დედოფლისწყაროში დაფიქსირდა გველის1 ნაკბენი, ხოლო შხამიანი მწერების დაკბენის 7 შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. ივნისში ამავე რაიონებში დაფიქსირდა გველის 4 ნაკბენი, ხოლო დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში შხამიანი მწერის 8 ნაკბენი. კახეთის დანარჩენ 6 მუნიციპალიტეტში ამ დრომდე არ დაფიქსირებულა არც გველის და არც შხამიანი მწერების ნაკბენის შემთხვევა,“ — აღნიშნავს კახეთში დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი ნელი ხიზანიშვილი „კახეთის ხმასთან“.

ხიზანიშვილის თქმითვე, კახეთში არსებული ყველა საავადმყოფო მომარაგებულია გიურზას, გველგესლას და პოლივალენტურის საწინააღმდეგო შრატებით.

არბოშიკში კვირიკესა და ივლიტას ხსენების დღე აღნიშნეს

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში 28 ივლისს მოწამეთა კვირიკესი და ივლიტას ხსენების დღე აღინიშნა. სოფელში ამავე წმინდანების სახელობის ტაძარი მოქმედებს, სადაც დეკანოზი ლევანი (იაკობიშვილი) მსახურობს.

სადღესასწაულო წირვა აღავლინა ხორნაბუჯელმა ეპისკოპოსმა მელქისედეკმა. წირვის დასრულების შემდეგ იყო ლიტანიობა, ხოლო დასასრულს კი მღვდელმთავარმა ქადაგებით მიმართა მრევლს, მიულოცა წმინდანების დღე და მათ შესახებ ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ ეპარქიის დაარსების დღიდან, ყოველ წელს ამ წმინდანების ხსენების დღეს მღვდელმთავარი სოფელ არბოშიკს სტუმრობს და სადღესასწაულო წირვას აღავლენს.

„გმირები მხოლოდ ომის დროს არ იბადებიან“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რუსთავში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპულ ოთარ გურგენიშვილის ახლობლებს უსამძიმრებს.

“მთელი საქართველო შეძრა ახალგაზრდა კაცის დაღუპვამ, რომელმაც სიცოცხლე გასწირა მცირეწლოვანი ბავშვის გადასარჩენად. ოთარ გურგენიშვილის თავგანწირვა სამოქალაქო გმირობის მაგალითია მთელი საზოგადოებისთვის. ამ საქციელით მან უსაზღვრო კეთილშობილების, კაცთმოყვარეობის საოცარი მაგალითი მოგვცა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რას ნიშნავს მოყვასისათვის თავგანწირვა.

ასეთ გმირებს ხალხი არ ივიწყებს. გმირები მხოლოდ ომის დროს არ იბადებიან. ასეთ გმირებზე დგას სამყარო.

დიდ მწუხარებას გამოვთქვამ და თანავუგრძნობ ოთარ გურგენიშვილის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს. მათ განუზომელ ტკივილსა და მწუხარებას მთელი საქართველო იზიარებს.

გმირულად დაღუპული ახალგაზრდა - ოთარ გურგენიშვილი ნამდვილად იმსახურებს ჯეროვან დაფასებას და სახელის უკვდავყოფას. მე ქედს ვიხრი მის წინაშე, მისი ოჯახის წინაშე და მიმაჩნია, რომ ჩვენ სათანადო პატივი უნდა მივაგოთ მას სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისათვის”.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

შეგახსენებთ: რუსთავში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ოთარ გუგეშაშვილი ემსხვეპლა, ახალგაზრდა გოგო კი მსუბუქად დაშავდა. “მერსედესის” მარკის “ჯიპის” ტიპის მანქანა ლეონიძის ქუჩაზე ფეხით მოსიარულეებს დაეჯახა.

გზაზე მცირეწლოვანი ბავშვი გადადიოდა, რა დროსაც დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა გამოჩნდა, ახალგაზრდა მამაკაცმა ბავშვს ხელი ჰკრა და მანქანას აარიდა, “ჯიპი” მას და მის მეგობარ გოგონას დაეჯახა.

დიდი ჰესების ფასი

სოფელ ჯვართან, ენგურჰესის უზარმაზარი კაშხალი, ორმოც წელზე მეტია სრული დატვირთვით მუშაობს. სწორედ აქ შევჩერდით პირველად მედია-ტურის მონაწილე ოცი ჟურნალისტი.

კაშხალზე, წყლის ფსკერიდან 235 მეტრზე ასულებს, საიდანაც ადამიანებსა და ავტომობილებს ძლივს ვარჩევთ, შიშიც არ გვიპყრობს, რომ შეიძლება წყალსაცავი გაირღვევს და წარმოუდგენელი მასშტაბის ტრაგედია დატრიალდეს... ამიტომ თამამად დავაბიჯებთ და ვტკბებით წყალსაცავის სილამაზით.

ენგური ერთ-ერთი წყალუხვობით გამორჩეული მდინარეა, არა მხოლოდ საქართველოში, მთელ კავკასიაში. მისი სიგრძე დაახლოებით 213 კილომეტრია.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო სიმძლავრეა 1640 ათ. კვტ, საშუალო წლიური გამომუშავება – 5,46 მლრდ კვტ-სთ. კაშხალის მუშაობა გათვლილია, მინიმუმ 200 წელზე.

სპეციალისტთა მტკიცებით, მას 8-9 ბალიანი მიწისძვრაც ვერ დააზიანებს. მათი თქმით, ასეთი რამ წარმოუდგენელიც კია, რადგან მის გარშემო ვულკანური წარმოშობის მთებია და მისი ჩამოშლის ალბათობაც კი ნულს უტოლდება.

ჰიდროელექტრორესურსების გამოყენებაზე ფიქრი პირველად დიდმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ დაიწყო, თუმცა იგი უფრო მცირე ჰესების აგებაზე იყო ორიენტირებული.

ენგურჰესი, სადაც ამჟამად 250 ადამიანია დასაქმებული, ტურისტებისთვისაც საინტერესო ადგილია. ჩვენი სტუმრობისას უამრავი უცხოელი ვიზიტორი მოხიბლული იყო ჰესითა და წყალსაცავით.

ენგურჰესის მშენებლობამ ხუთი სოფლის დატბორვა გამოიწვია, მათ შორის ჰუდონის. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ელეტროენერგიას გამოვიმუშავებთ (ენგურჰესი ენერგიას აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოიმუშავებს), მაგრამ ამ დადებით ფაქტორს უკუპროცესებიც ახლავს. სწორედ ამ პრობლემებზე გვესაუბრება პროფესორი გიორგი დვალაშვილი, რომელიც მედია-ტურის დროს ჩვენი განუყრელი თანამგზავრიცაა და ექსპერტიც.

“ამ ადგილის დამსახურებით ანაკლიის სანაპირო ზოლი წაირეცხა. ამ წყალსაცავის ფუნქციონირების შემდეგ, ის ნაშენი მასალა, რომელიც მდინარეს ფაქტობრივად, დიდი ხნის განმავლობაში ზღვაში ჩაჰქონდა, აღარ ჩააქვს და ზღვას, სამწუხაროდ, ვეღარ კვებავს. არადა ზუსტად ამ მდინარის დამსახურებით, გეოლოგიურ წარსულში, ანაკლიის სანაპირო ზოლი შეიქმნა. დაახლოებით ათი ათასი წლის განმავლობაში იქმნებოდა ანაკლიის ნაპირი ამ მდინარის ჩამოტანილი მასალით. ახლა კი, ნაშალი მასალა ზღვამდე ვეღარ ჩადის,” — გვეუბნება გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი დვალაშვილი.

აქ, 1961 წლამდე ჩვეულებრივად გადიოდა გზა, სეზონური დასახლება სოფელი ჰუდონი, დატბორვისას ჩაიძირა.

გეოგრაფიული შეფასება ასეთია — თუ მაგანაშიც გაკეთდება ასეთი ჰესები და დაიწყება მისი ჩაკეტვა, შამგონის კუნძულსაც პრობლემა შეექმნება. პრობლემა შეექმნება ანაკლიასაც, ამტკიცებს პროფესორი დვალაშვილი. ზღვა კვების გარეშე დარჩება. მისი თქმით, ძალიან ბევრი, კომპლექსური პრობლემაა.

ენერგოდამოუკიდებლობას შეწირული ოთხი სოფელი

ჩვენი შემდეგი გაჩერება უკვე ის ადგილია, სადაც დიდი ჰესი-ხუდონის ელექტროსადგური უნდა აშენდეს. ხუდონჰესის მშენებლობის იდეა XX საუკუნის 70—იანი წლებიდან გაჩნდა. სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყო, თუმცა ეროვნული მოძრაობის, სტუდენტების პროტესტის და ადგილობრივ მცხოვრებთა ძალისხმევით პროექტი შეჩერდა.

ხუდონჰესის აშენების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა 2000-იან წლებში. 2007 წლის ივნისში გაფორმდა საწყისი ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და ინდურ კომპანია კონტინენტალ Energy International-ს (რომელმაც შემდგომ შეიცვალა სახელი და გახდა შპს „ტრანს-ელექტრიკა“) შორის. ტრანს-ელექტრიკამ მშენებლობის უფლება 2011 წელს მოიპოვა. კომპანიას 1536 ჰექტარი მიწა 1 ამერიკულ დოლარად გადაეცა. მას შემდეგ მიმდინარეობს ცხარე დებატები მიღებული სარგებლისა და გამოწვეული დანახარჯების შესახებ.

ხუდონჰესის მშენებლობის იდეის განახლებასთან ერთად განახლდა საპროტესტო გამოსვლები. 2013 წელს ხუდონჰესის მშენებლობას აპროტესტებს ხაიშის თემის მოსახლეობა, ისინი ვერ ეგუებიან საცხოვრებელი სახლებისა და წინაპართა საფლავების დატბორვას.

ხაიში, გაღმა ხაიში, დაკარი და ტობარი - ეს ის ოთხი სვანური სოფელია, რომელიც მალე საქართველოს ადმინისტრაციულ რუკაზე აღარ იქნება - მას ხუდონჰესი დატბორავს. პროექტი, რომელიც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას ჰპირდება, აზრთა სხვადასხაობის მიზეზი ხდება.

დაპირისპირებამ ადგილობრივებსა და ინვესტორებს შორის პიკს რამდენიმე ხნის წინ მიაღწია. სვანებმა დაიფიცეს - “ვფიცავ, რომ მე და ჩემი ოჯახი არ დავიშურებთ ჭკუა-გონებასა და ძალ-ღონეს, რათა ეს პროექტი არ განხორციელდეს და ყველა გადაწყვეტილებას ფიცისქვეშ მყოფნი მივიღებთ ერთობლივად”. “ჩვენ ვერ გავხდებით სვანეთის მესაფლავეები!” - ამბობენ ადგილობრივები. ამჟამად 90 ოჯახია დაფიცებული. ვინც სვანური ტრადიცია და ფიცის ძალა იცის, მიხვდება, რომ ეს პოზიცია შეუვალი და მტკიცეა. როგორც თავად ამბობენ, ისინი წარმოადგენენ უმრავლესობას იმ მოსახლეობისა, რომლებიც უშუალოდ წყალქვეშ ექცევიან.

ინდურ-ინგლისური კომპანია “ტრანს ელექტრიკა ჯორჯია” მდინარე ენგურზე 700 მეგავატიანი ჰესისა და 200 მეტრი სიმაღლის კაშხლის მშენებლობას გეგმავს, რომლის შედეგად დაიტბორება 500 ჰექტარზე მეტი ტერიტორია და, მათ შორის, რამდენიმე სოფელი, ასევე ხაიშის წმინდა გიორგის ეკლესია და სასაფლაოს ტერიტორია.

ადგილობრივები ინვესტორს ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობენ, რაც იმავე ადგილას მაქსიმუმ 40-იანი კაშხლის მშენებლობას ითვალისწინებს, რომელიც სოფელს არ დატბორავს. არის სხვა შეთავაზებაც, შედარებით მაღალი კაშხლის მშენებლობა ხაიშს ზემოთ, მაგრამ არა ისეთის, როგორსაც ინვესტორი აპირებს. ხაიშელების განცხადებით, ამით სოფელი გადაშენებას გადაურჩება, ტაძარი და სასაფლაოც არ მოექცევა წყლის ქვეშ და ენერგეტიკის თვალსაზრისითაც თითქმის იმასვე მივიღებთ.

ადგილობრივებს ორი მოთხოვნა აქვთ - აშენდეს ისეთი სადგური, რომელიც მათ არ შეუქმნის პრობლემებს და მოხდეს მათთვის წართმეული, ჩუმად გადაფორმებული მიწების უკან დაბრუნება.

ხუდონჰესის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით კომენტარი ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემაც გააკეთა. კალაძის განცხადებით, ხუდონის პროექტი ერთ-ერთი სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის მშენებლობაც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

კახა კალაძე: “დიდი პრობლემა ამ პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებაა და ჩვენ, მთავრობა, ვიძლევით პირობას, რომ თითოეული იქ მაცხოვრებელი ადამიანის ინტერესებს გავითვალისწინებთ და ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც თითოეულ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს გაუხარდება”.

მთავრობის ამ პოზიციისგან განსხვავებული მიდგომა და შეფასებები აქვთ ქართველ ექსპერტებს. გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი და საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე ამ ეტაპზე კაშხლის მშენებლობას დაუშვებლად მიიჩნევს და გარდაუვალ კატასტროფაზე საუბრობს.

ნინო ჩხობაძე: “პირველ რიგში, ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ჯერ ის დოკუმენტი უნდა იყოს დახვეწილი, რომელიც იტყვის უნდა აშენდეს თუ არა იქ ხუდონი. იმ მგდომარეობაში, როგორც ის არის წარმოდგენილი, იმ პირობებით, ასეთი კაშხლის მშენებლობა ძალიან მაღალი რისკის მატარებელია. გარდა იმისა, რომ ხეობას დაემუქრება რისკები, თვითონ ჰიდროელექტროსადგურს და კვანძს შეიძლება დაემუქროს საფრთხე. ლაპარაკია იმაზე, რომ მარცხენაც და მარჯვენა ნაპირიც, რაზეც უნდა დამაგრდეს კაშხალი, არის არამდგრადი, ეროზირებულია. ამას დაემატა ისიც, რომ ბოლომდე არ არის წარმოდგენილი რა მდგომარეობაშია არსებული შენობები, რაც იქ დატოვებული იყო და არ იყო კონსერვირებული. ის, რომ თავის დროზე არ ჩატარდა კონსერვაცია ამ ობიექტის, ამან გამოიწვია სერიოზული პრობლემები და გამოიწვია ეროზიები.

- ანუ იმ ძველი ნაგებობის ბაზაზე უნდა აშენდეს?

- დიახ, ძველზე უნდა ააშენონ, ასეა წარმოდგენილი, ჩვენ დღეს თურმე ვიხილავთ ძველ პროექტს და არა ახალს და ის ძველი პროექტი ამ შემთხვევაში არის ძალიან სუსტი და გარემოს დაცვის კუთხით საერთოდ გაუმართლებელია. გარემოს დაცვა რომ გავწიოთ გვერდზე, თვითონ კონსტრუქციაზე ძალიან ბევრი კითხვაა დასმული. პრობლემა ის არის, რომ თვითონ იმ დოკუმენტში, გეოლოგები ამბობენ, რომ კიდევ დამატებითი კვლევებია ჩასატარებელი, იმიტომ რომ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დარჩა შიგნით, მით უმეტეს, როცა მთლიანად კაშხლის კონსტრუქცია შეიძლება შეიცვალოს.

ყველაზე მთავარი მომენტი, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის მოთხოვნებს, არის საუბარი ალტერნატივებზე. ალტერნატივები დღესდღეობით წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის. არც გეოლოგიაა წარმოდგენილ დოკუმენტში ისე, როგორც უნდა იყოს ასახული, გაკეთებულია მხოლოდ მათემატიკური მოდელირება და არ არის ფიზიკური მოდელირება. რამდენიც არ უნდა იძახოს ინვესტორმა, რომ ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა, უკაცრავად, მაგრამ როცა აშენებ ძალიან დიდი ღირებულების პროექტს, ამ შემთხვევაში ეს რისკი მაინც უნდა გასწიო და უნდა გააკეთო ფიზიკური მოდელირება. ფიზიკური მოდელირება გვიჩვენებს რა პრობლემები შეიძლება კაშხალს შეექმნას და ის, პირველ რიგში, აღმოაჩენს შეიძლება თუ არა საერთოდ ამ ტერიტორიაზე ასეთი ტიპის 200-მეტრიანი კაშხლის მშენებლობა.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ადგილას ასეთი ტიპის, ასეთი მაღალი კაშხლის მშენებლობა პრაქტიკულად შეუძლებელია. არა იმიტომ რომ ეს ჩვენი ახირებაა, არამედ იმიტომ, რომ მთელი ის მონაცემები, რაც ჩვენს ხელთ არის, ამბობენ იმას, რომ იქ ასეთი ტიპის კაშხლის აშენება არის ძალიან დიდი რისკის მატარებელი. რას შეიძლება დაემუქროს რისკი? - მდინარის ზედა ნაწილში დარჩება ძალიან ბევრი სოფელი. იმათ გარდა, ვისაც გაასახლებენ ამ მშენებლობის შედეგად, ზემოთ კიდევ არის ხალხი და ის ხალხი რჩება პრაქტიკულად არაფრით. მათ არ ექნებათ არც საძოვარი და აღმოჩნდებიან გაუსაძლის პირობებში. მიკროკლიმატი ნამდვილად შეიცვლება იმ ადგილზე, იმიტომ რომ ენგურის კაშხალმა უკვე შეცვალა იქ კლიმატი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ თუ ყველაფერი არ იქნება გათვლილი, თუ გეოლოგია არ იქნება შესწავლილი, თუ ყველა ის პარამეტრი, რაც ეხება კონსტრუქციულ ნაწილს, დამცავ სისტემებს, რისკების შეფასებებს, თუ ეს ყველაფერი არ იქნება გაკეთებული, ასეთი პირობებით, ასეთი დოკუმენტით, რა თქმა უნდა, ამის აშენება საერთოდ შეუძლებელია.

აქ არის კიდევ მეორე - მოსახლეობის საკითხი. ძალიან გავრცელებულია აზრი, რომ თითქოს გარემოს დაცვა ეს არის ცალკე და მოსახლეობის საკითხი არის ცალკე. არ არის ეს სინამდვილეში ასე. ეს რომ ასე არ არის ამაზე მეტყველებს თუნდაც მსოფლიოში განხორციელებული ძალიან მსხვილი პროექტები, სადაც კეთდება გარემოს დაცვითი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. თანაც ეს ერთად კეთდება, იმიტომ რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რა აზრის არის მოსახლეობა. როცა მოსახლეობა ადგილზე ამბობს, რომ მათთვის ეს არანაირად არ არის ხელსაყრელი, პირველ რიგში, მათი აზრია გასათვალისწინებელი. ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს მსოფლიოში, როცა მოსახლეობის პროტესტის შედეგად ძალიან ბევრი დიდი პროექტი დაიხურა, სხვათა შორის ძალიან რენტაბელურიც. რენტაბელობის თვალსაზრისითაც ხუდონს აქვს პრობლემა.

მედია-ტურის მონაწილეები სოფელ ხაიშში იმ ადგილას ვჩერდებით, სადაც მოსახლეობა საპროტესტო აქციებს პერმანენტულად მართავს. მესერს ატყვია აქციების კვალი- წარწერები, რომლებიც სვანების განწყობას უსიტყვოდ ახმოვანებენ. მათთან საუბრისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სვანები ფიცს იოლად არ გატეხენ.

სტატია მომზადდა პროგრამის “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია ფარგლებში”. პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხრდაჭერით.

ინგა შიოლაშვილი

ეროვნულ-პატრიოტული საქმე

ალბათ ბევრს გიფიქრიათ, რა არის პატრიოტიზმი?-სამშობლოს სიყვარულია, ვუპასუხებთ მარტივად, მაგრამ რა არის სამშობლო?-ეს მხოლოდ ის შემოსაზღვრული ტერიტორიაა, სადაც ვცხოვრობთ?-რა თქმა უნდა, არა! სამშობლო შენი მიწაა, შენი ხალხია, შენი ტრადიციებია, შენი მწერლობაა, ჩუქურთმაა, ჭედურობაა, ხელოვნებაა, მხატვრობაა, ცეკვაა, სიმღერაა. და თუ შენ ეს ყველაფერი გულწრფელად გიყვარს და ზრუნავ , მონაწილეობ, ან, უბრალოდ, ხელს უწყობ მის განვითარებას, მაშასადამე, პატრიოტი ხარ. და რაც უფრო მეტი პატრიოტი ჰყავს ქვეყანას, მით ძლიერია და სიცოცხლისუნარიანი. პატრიოტიზმით და პატრიოტებით გაჯერებულია ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული და ეს გვეამაყება, მაგრამ დღესაც არიან ჩვენს გვერდით ჭეშმარიტი პატრიოტები. რომლებსაც სამომავლოდ შემოირახა ისტორია. მათ შორის უდიდესი ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გახლავთ, რომელიც ყველაფერს აკეთებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის, იმისთვის, რომ მომავალი თაობები პატრიოტული სულისკვეთებით გაიზარდნენ, რომ ქვეყანამ თვითმყოფადობა არ დაკარგოს. მის მიერ განხორციელებულ უამრავ საქმეთა შორის არის ასეთი პროექტიც „ქართული გალობა და ხალხური სიმღერა“. დღეს, როცა უცხოურმა სიმღერამ და მუსიკის უამრავმა ხმაურიანმა ჟანრმა ღამის წალეკოს ჩვენი ხალხური სიმღერა და გალობა, ეს პროექტი, მართლაც, აუცილებელია. აბა, დავაკვირდეთ, ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც შინ და გარეთ ყურებში ყურსასმენგარჭობილი დადის, ძირითადად , რას ისმენს?- ბოლო ხმაზე აწეულ ხმაურიან უცხოურ სიმღერებს. ნაკლებად აქვს ვინმეს მოთხოვნილება ქართული ხალხური სიმღერის ან გალობის მოსმენის. არადა, თუ შენ ტანში ჟრუანტელი არ გივლის „შენ ხარ ვენახის“, „მამაო ჩვენოს“, „მრავალჟამიერის“, „ჩაკრულოს“, „შავლეგოს“ და სხვა მრავალის (მათი ჩამოთვლა შეუძლებელია) მოსმენისას, მაშასადამე, მთლად კარგად ვერ არის ჩვენი ერის საქმე. ჩვენს ყველა დიდსა თუ პატარა ქალაქში, სოფელში, დასახლებაში უნდა აღორძინდეს ქართული ხალხური სიმღერის და გალობის შემსწავლელი სკოლები, ჩამოყალიბდეს გუნდები და ანსამბლები და მათ კვალიფიციური კადრი უნდა ჩაუდგეს სათავეში, რათა არ დამახინჯდეს, ფსევდოვარიანტებმა არ დააზიანოს ის დიდი საუნჯე, რომელიც საუკუნეებმა ჩვენამდე მოიტანა. სწორედ ამ კადრის აღზრდას ემსახურება პატრიარქის ეს პროექტიც. გუნდს კარგი ლოტბარი უნდა ჰყავდეს, რადგან ლოტბარი იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც, მთავარსარდალი ბრძოლის ველზე. პროექტი „ქართული გალობა და ხალხური სიმღერა“, პატრიარქის სრული მხარდაჭერით, 2010 წლიდან განუსაზღვრელი ვადით დაიწყო. 2-3 წელია, ეს პროექტი სხვა რაიონებში უკვე ფუნქციონირებს, ის ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის შემსწავლელი სკოლის გახსნას გულისხმობს. მიმდინარე წლის მაისში ჩვენც ჩავერთეთ ამ პროექტში და ასეთი სკოლა ჩვენს რაიონშიც შეიქმნა. მისი დირექტორი სოფო მაჭარაშვილი გახლავთ, იგი სპეციალობით ხელოვნებათმცოდნეა. ჩვენ ახლა მას ვესაუბრებით:

- სოფო, კონკრეტულად როგორ მოხდა ამ სკოლის დაარსება?

-ასეთი სკოლის დაარსების სურვილი, რა ხანია, გვქონდა, მაგრამ ამას ადგილობრივი ხელმძღვანელობის სურვილიც უნდა დამთხვეოდა, რადგან ეს გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული. და აი, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის თამარ თამაზაშვილის დიდი ძალისხმევით და მონდომებით ამ სურვილმა ფრთები შეისხა. მაისიდან ჩვენთან შეიქმნა ააიპ “ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა”. პროექტს ჩვენს რაიონში კოორდინაციას უწევენ ანსამბლ “შავნაბადას” ხელმძღვანელი დათო ცინცაძე და ფოლკლორისტი, ყველა ჩვენგანისთვის უსაყვარლესი მომღერალი, თამრიკო ჭოხონელიძე.

- რა არის სკოლის მიზანი?

- სკოლის მიზანია ქართული ხალხური სიმღერის და გალობის შესწავლა მაღალ დონეზე. სწავლება ორწლიანია, რომლის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ახალგაზრდა მხოლოდ ერთი გამოცდით მშობლიურ ენაში, ჩაირიცხება გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში, რომელში სწავლაც უფასოა და ნიჭიერი და წარმატებული ბავშვებისთვის დაწესებულია სხვა ყოფითი და პროფესიული წახალისებები და პრივილეგიები. უმაღლესის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს მიენიჭებათ „ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის ლოტბარის! წოდება. აღნიშნული სპეციალობა დღეს, ფაქტიურად, დეფიციტურია. ამდენად, უმაღლესის დამთავრებისთანავე სამსახური გარანტირებული აქვთ. უმაღლესში სწავლა ოთხწლიანია, ასე რომ, ექვსწლიანი სწავლების შემდეგ ჩვენ მივიღებთ კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც ამ საშვილიშვილო საქმეს ჩაუდგება სათავეში.

- როგორია სკოლის სასწავლო პროგრამა, მხოლოდ გალობას და სიმღერას სწავლობენ?

-არა, აქ ისწავლება კიდევ ფოლკლორის ისტორია, სამშობლოთმცოდნეობა, სოლფეჯიო, ფანდურზე დაკვრა. შეიძლება სხვა ინსტრუმენტებიც შევარჩიოთ მომავალში. სპეციალობასთან დაკავშირებულ საგნებთან ერთად,ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები ერთადერთი საგანია. ამ გადაწყვეტილებაში დევს სწორედ ის პატრიოტული მუხტი, რომელიც მოზარდის გულში ერის და მისი ღირებულებების სიყვარულს აღვივებს.

- რა ასაკის მსურველებს ღებულობთ?

- წესდების მიხედვით 5-დან 31 წლამდე ასაკის ვაჟები მიიღებიან. პრაქტიკულად, სასურველია, ერთი თაობის ადამიანები შეირჩეს ჯგუფში.

- ახლა სკოლაში რამდენი მოსწავლე გყავთ?

- დღეისთვის ოთხი ვაჟი ირიცხება: ნიკა შანშაშვილი, იოვანე ლომსაძე, ბაჩანა ალუღიშვილი და ლევან პოპიაშვილი. სკოლასთან ფუნქციონირებს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც არის ბაზა სკოლის მოსწავლეთა შევსებისათვის. ანსამბლში, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, სულ 19 ბავშვია, რომელთა უმრავლესობა მოდიან ვაჟთა ხალხურ ანსამბლ „ქიზიყიდან”. ამ ანსამბლის დაარსებას, დახვეწას და წარმატებებს, წლების განმავლობაში, ფასდაუდებელი ამაგი დასდო მისმა ხელმძღვანელმა, ქალბატონმა დალი ელისაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

- სულ სამიოდე თვეა გასული, უკვე შესძელით რეპერტუარის შედგენა -დახვეწა და მონაწილეობა რაიმე ღონისძიებაში?

- დიახ, ამ მოკლე დროის მიუხედავად, ჩვენს ბავშვებს უკვე თავდაჯერებულად შეუძლიათ გამოვიდნენ ხალხმრავალ სცენაზე. ჩვენ ჩავატარეთ ერთობლივი კონცერტი ქალაქ გურჯაანში ამ პროექტის ფარგლებში მოქმედ ანსამბლთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ იქ უკვე სამი წელია ეს პროექტი მოქმედებს, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ბავშვები, გურჯაანელებს ტოლს არ უდებდნენ. ჩვენ ვიყავით თბილისში და დავათვალიერეთ „საქართველოს საკრავების” უნიკალური მუზეუმი და რამდენიმე სიმღერაც ჩავწერეთ, რომელიც დაიდო მუზეუმის არქივში და რომელსაც მოასმენინებენ აქ მოსულ როგორც ქართველ, ისე უცხოელ დამთვალიერებელს. ამ დღეებში კი ანსამბლი გამოვიდა ფოლკლორულ ფესტივალ „არტგენის” დასკვნით ტურში, სადაც დიდი წარმატება ხვდათ წილად. სამიათასამდე მაყურებლის მქუხარე აპლოდისმენტებმა შემდგომი მუშაობისთვის დიდი სტიმული მისცა ანსამბლის წევრებს: გიორგი წერეთელს, ბიძაშვილებს გიორგი და ლუკა ჯალიაშვილებს, გიორგი ხუციშვილს, გიორგი ჩიბუხაშვილს, ილია მოსეშვილს,ლევან ზედელაშვილს, დავით იაკობიშვილს, ძმებს სოსო და ნიკა ნასრაშვილებს. სულ ახლახანს ანსამბლს შემოუერთდნენ და „არტგენის” სცენაზე წარსდგნენ სოფელ გამარჯვებიდან ლევან ბენაშვილი და ლევან თარხნიშვილი და არხილოსკალოდან ლაშა კობაიძე, გიორგი მერაბიშვილი და გიორგი წიკლაური.

ისინი მომავალში, უფრო ზუსტად სექტემბრიდან, მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ფოლკლორულ ფესტივალებზე, მათ შორის, ხობის საერთაშორისო ფესტივალზეც.

ოფიციალურად, სექტემბრის თვეში იქნება სკოლის ფართომასშტაბიანი პრეზენტაცია. ანსამბლში მიღების მსურველებს შეუძლიათ მოაკითხონ სკოლის დირექციას მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, 9 ძმის ქ. N 10-ში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის II სართულზე, საკონტაქტო ტელეფონია: 22 21 04 ან 555 40 59 24.

მიღება მოხდება გასაუბრების საფუძველზე.

- ერთიღა დაგვრჩენია, შემდგომი წარმატებები გისურვოთ და გზა დაგილოცოთ.

- გმადლობთ.

ნაირა გორაშვილი

საზაფხულო სკოლა

საზაფხულო პროგრამები ბავშვებისთვის მთელ მსოფლიოში პოპულარულია. იგი მოიცავს შემეცნებით, სპორტულ, გასართობ ღონისძიებებსა და ექსკურსიებს. მის ღირებულებაში შედის აგრეთვე საცხოვრებელი პირობები და კვება. ზოგიერთი სკოლა თავის ბაზაზე ატარებს და ადგენს საზაფხულო პროგრამას. თითქმის ასე მოხდა წელს დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის რეალობაში. სკოლის კურსდამთავრებულებმა ქეთი ჩაფიაშვილმა და გიგი იაკობიშვილმა, საკუთარი ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება ერთკვირიანი საზაფხულო სკოლის დაარსების თაობაზე. მათი მოტივაცია ემსახურება სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა მეტ კომუნიკაციას და ერთმანეთის უკეთ გაცნობას, დამეგობრებას და მათი შემეცნებითი ხარისხის დონის ამაღლებას. ჯგუფი შედგება მე-5-დან მე-9 კლასის ჩათვლით 70 მოსწავლისგან, რომელიც დაიყოფა 5 ქვეჯგუფად, თითოეულ მათგანში 10-15 სხვადასხვა ასაკის მოსწავლეა. ახალბედა ორგანიზატორები თავიანთი პროექტის განხორციელებისას დროში შეზღუდულები იყვნენ და დაფინანსების მოპოვება ვერ მოასწრეს. მათ სურვილი ჰქონდათ უფრო გრძელვადიანი და ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელებისა, თუმცა, სამომავლოდ მათ გეგმებში ექსკურსია, მოსწავლეთა კვება და საყოველთაო სტანდარტების მიხედვით პროექტში შემავალი ყველა პრივილეგიის მოპოვება უკვე წინასწარ დაგეგმეს.

№1 საჯარო სკოლას განსაკუთრებული ტრადიციები აქვს, მათ შორის ერთ-ერთი ისაა, რომ სკოლის კურსდამთავრებულები არასოდეს ტოვებენ მას და ტერიტორიულად ეს შესაძლებელი იქნება თუ არა, მაინც აგრძელებენ სკოლასთან მუდმივ ურთიერთობას. ასეა ამ შემთხვევაშიც. საკლასო ოთახში შესვლისთანავე თვალში მომხვდა რამოდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც აშკარად სკოლის მოსწავლეებს არ ჰგავდნენ, მართლაც, ისინი №1 საჯარო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები და ამჟამად თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტები- პაატა კიკილაშვილი და გიორგი ყოჩიაშვილი იყვნენ. ისინი თავიანთი ინიციატივით ჩაერთნენ საზაფხულო სკოლის პროგამაში და მოსწავლეებს შემეცნებითი დონის ამაღლების მიზნით ჩაუტარეს ლექცია-სემინარები- ზოგადი განათლების შესახებ, ბითლზების ისტორიასა და შემოქმედებაზე, ადამიანის სხეულის 16 საინტერესო და უცნაურ ფაქტზე, იტალიის ღირსშესანიშნაობებზე და უამრავ სხვა თემებზე, რომლის მოსწრებაც მათ ამ მოკლე ხნის მანძილზე შეძლეს.

აქ დღე დილის გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება, შემდეგ ხდება ჯგუფებს შორის გასაუბრებები, აზრთა გაცვლა-გამოცვლის პრინციპით, ამას მოსდევს შემეცნებითი მუშაობა ლექცია-სემინარის სახით, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები უძღვებიან, შემდეგ ეძლევათ ჯგუფებს სხვადასხვა დავალებები და იმართება მათ შორის მინი-კონკურსები, მათ ამ შეჯიბრების მოწყობაში აქტიურად ეხმარებიან გუნდების კაპიტნები: თაკო ხუციშვილი, ნიკა შანშაშვილი, სოსო ზურაშვილი, გვანცა გონაშვილი, ნინო სეფიაშვილი, დავით ჯინაშვილი, ერეკლე ჩერქეზიშვილი, ანი ხუმარაშვილი, ზურა ნატროშვილი და მარიამ ლაპიაშვილი. სკოლას საკუთარი სურვილით მუსიკალურ გამფორმებლად (დიჯეიდ) ეწვია წარმოშობით დედოფლისწყაროელი, ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ბაჩო პოპიაშვილი. მოსწავლეებიც და სტუდენტებიც ერთად ისე ხალისით, ინტერესით და ენერგიულად მუშაობენ, მათ შორის ისეთი ჰარმონიაა, რომ ასაკობრივ სხვაობას მეხუთე კლასელსა და სტუდენტს შორის ვერ იგრძნობთ, აქ ყველა ერთმანეთის ტოლი და სწორია, ისინი ერთმანეთს უანგაროდ უნაწილებენ თავიანთ ცოდნა-განათლებას, ამ თითქოს პატარა საქმით კი, სამომავლოდ დიდ ტრადიციას ეყრება საფუძველი- ურთიერთპატივისცემას, ურთიერთსიყვარულს და ერთმანეთთან უანგაროდ გვერდში დგომას.

- ჩვენი პროექტი უფრო ხანგრძლივი რომ ყოფილიყო და დაფინანსებული, მოხარულნი ვიქნებოდით, 3 საათზე ვამთავრებთ მუშაობას, რადგან ბავშვებს მოშივდებათ ხოლმე და ვუშვებთ, თუმცა, მათ სახლში წასვლა არ უნდათ -სინანულს გამოხატავს ნინო სეფიაშვილი.

საზაფხულო სკოლის ორგანიზატორებს მუშაობაში ხელი შეუწყო სკოლის დირექციამ,მათ მოსწავლეები საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყვეს და ყოველმხრივ კეთილსაიმედო გარემო შეუქმნეს მათ, რაზეც ბავშვებმა ჩვენთან შეხვედრისას დიდი მადლიერება გამოხატეს.

ვუსურვებთ ჩვენს მოსწავლეებს, მომავალში უფრო ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი პროექტების შემუშავებას და არა მხოლოდ №1 სკოლის ბაზაზე, არამედ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში.

ელზა ხარაშვილი

ხორბლის ფასი და მისი რეალიზაცია

(პირველი გვერდიდან)

გივი ბენაშვილი,- დაბალ მოსავლიანობაზე უკვე აღარ ვსაუბრობ, რაც მოხდა- მოხდა, თანხები, რომ იტყვიან, გადავყარეთ, მაგრამ ახლა უკვე წინ ვიყურებით, მომავალზე ვფიქრობთ, მომავალში რა ვქნა, რით დავთესოთ, ან თესლი სად ვიშოვოთ,- აი ჩვენი საფიქრალი. გუშინ ბანკში ვიყავი, ვიფიქრე, სამპროცენტიანი სესხი იქნებ ავიღო და ამის საშუალებით დავთესო, კარგად რომ დავაანგარიშებინე ბანკირ გოგონას, ის სამპროცენტიანი ათი პროცენტიც გამოვიდა, ხელი ჩავიქნიე და წამოვედი. ახლა ვფიქრობ, რომ კიდევ ვალებში გადავარდნას, სულ აღარ დავთესო ის სჯობს. გვალვებმა მინდორი გადაახმო, მიწაზე ბალახი აღარ დატოვა და ხეზე ფოთოლი, საქონელიც გაწყდება ალბათ და ფრინველიც. ფუტკარი რომ ფუტკარია, ფუტკარსაც ვუვლი და ვიცი, რომ წელს ისეთი უამინდო წელი იყო, წამლად ერთი ლიტრი თაფლიც არ ექნება არავის. თუ ვინმემ იფიცოს, რომ საკუთარი სახლის ნატურალური თაფლიაო, არ დაიჯეროთ, ტყუილი იქნება.

გივი პოპიაშვილი - ყოველწლიურად დაახლოებით 45- 50 ჰექტარ მიწის ფართობს ვამუშავებ, რომელზეც სხვადასხვა სახეობის მოსავალს ვიმკი,წელს მქონდა დათესილი ხორბალიც და მზესუმზირაც, ხორბლის ძალიან მცირე მოსავალი მივიღე. ფაქტიურად სათესლე ხორბალი არცერთ მიწათმოქმედს არ გაგვაჩნია. კარგი იქნება, რომ შემოიტანონ რომელიმე ქვეყნიდან სათესლე ხორბალი, თუნდაც სესხით, რადგან ფიზიკურად რაიონში ხორბალი აღარ იშოვება, მზესუმზირას ხომ ვერაფერს ავიღებ, დაახლოებით ჰექტარზე, თუ თესლს არ ჩავთვლით ,600-დან 800 ლარამდე ზარალი მივიღე. წლევანდელი ხორბალიც ძალიან დაბალ ფასში, 50 თეთრში გავყიდე, ამას ისიც ემატება, რომ ნამჯაც ვერ დავპრესეთ საქონლისთვის. როცა მოსავალი კარგია, იქ ნამჯაც ბევრია და ბალახიც, მაგრამ წელს ყველაფერი ერთმანეთს აჰყვა. თუ იმაზე მიდგება საქმე, სახელმწიფო რა შეღავათს გაგვიწევს, რა თქმა უნდა, ორივე რომ იყოს, უკეთესია, მაგრამ მე გადასახადის მოხსნა მირჩევია. ვნახოთ რა იქნება.

საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა სხვა მრავალ საკითხთან ერთად დედოფლისწყარო-სიღნაღის მოუსავლიანობაზე და ფერმერთა გასაჭირზე დასვა საკითხი. პრემიერმა ქუცნაშვილის მიერ წამოჭრილ ამ საკითხს ასე უპასუხა, - „მე ძალიან კარგად მესმის სიღნაღისა და დედოფლისწყაროს გასაჭირი, საქმის კურსში ვარ და მთელი ჩემი გუნდი ვმუშაობთ იმისთვის, რომ ქიზიყელ გლეხებს შეღავათი გავუწიოთ, მინდა გითხრათ, რომ ამ ორ რაიონს უყურადღებოდ არ დავტოვებთ, აუცილებლად დავეხმარებით!" - აღნიშნა საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ლალი მეხრიშვილი

როცა გარდაცვალება უდრის დაბადებას...

ახალდაბადებულს შავი თმა თვალებზე ჰქონია ჩამოფარებული. მნახველებს უთქვამთ, ეს თმიანობა იმისი ნიშანია, პატარა სახელიანი იქნებაო. მართალიც აღმოჩნდა ეს მინიშნება. 1861 წლის 26 ივლისს, ჩარგალში, მდინარე ჩაგლურას ნაპირას, პატარა ქვითკირის სახლში დაბადებული ვაჟა–ფშაველა (ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი) დღემდე შეუცვლელად ითვლება ყველაზე დიდ ქართველ პოეტად. არ ვიცი, სად წყდება დაბადებისა და სიკვდილის თარიღების დადგენა, ან რას ნიშნავს, როცა ეს თარიღები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ სულ რამდენიმე ადამიანი ვიცი –დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების საბედისწერო დამთხვევით რომ დაავიწყდოვა (თუ დასაჯა) ბედმა – მათ შორის – ვაჟა–ფშაველა.

1915 წლის 27 ივლისი. დილით პოეტი თითქოს კარგად გამოიყურებოდა, ესაუბრა კიდევაც ექიმსა და მოწყალების დას. შუადღის შემდეგ კი ცუდად გახდა. უკითხავს, რომელი საათია? სამი, უპასუხია მოწყალების დას. ვაჟას უთხოვია: თუ ღმერთი გწამს, ლოგინი იატაკზე გამიშალე და გარშემო ყვავილები დამაყარეთ, –იქნებ მაშინ მაინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთაო... საღამოს ექვს საათზე თავი უფრო ცუდად იგრძნო. გულის ცემა უჩერდებოდა, მალე გონებაც დაკარგა. ერთი საათის შემდეგ აღესრულა... იგი გარდაიცვალა ლაზარეთში –იქ, სადაც დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტია.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად სამთავრობო კომისია შეიქმნება - გადაწყვეტილება ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩარგალში "ვაჟაობის" დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გააჟღერა. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ სამთავრობო კომისია 100 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების გარდა, ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის დაწესების საკითხზეც იმსჯელებს. ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის დაწესების ინიციატივით შარშან ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა.

"ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დასტურია იმისა, რომ ჩვენ, ჩვენი ფესვებით, ჩვენი აზროვნებით, ყოველთვის ევროპული სივრცის ნაწილი ვიყავით. ცოტაა მსოფლიოში ჩვენისთანა პატარა ერი, რომლის წარმომადგენლის შედევრები ღირსეულად ამშვენებს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ვაჟაობას და დარწმუნებული ვარ, რომ ამ დღესასწაულს მოგავალი თაობებიც გაამრავლებენ,"- განაცხადა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

შემოქმედება, რომელმაც კაცობრიობის ყველა დრო მოიცვა. იგი დღესაც ისევე პოპულარული და აქტუალურია, როგორიც საუკუნის წინ იყო. საბედნიეროდ, მისი ხელნაწერები, შეიძლება ისინიც კი, თბილისში წამოსვლისას ჭრელ ხურჯინში რომ აწყობდა და ილია ჭავჭავაძესთან მიჰქონდა, დღესაც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ვაჟა–ფშაველას როგორც ლიტერატურული ხელნაწერების დიდი რაოდენობა, ასევე ფოტო–იკონოგრაფიული მასალა და მემორიალური ნივთები: ფარი, ხმალი, ჩონგური, საფულე, ჩიბუხი...

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კი მის წერილებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ ნამუშევრებსა და პოემებს ავტოგრაფების სახით ინახავს.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა–ფშაველას შესახებ ბევრი დაწერილა, ლიტერატორები მაინც აღნიშნავენ, რომ 21–ე საუკუნის გადასახედიდან ის ჯერ კიდევ შეუცნობელი ფენომენია. ვაჟა–ფშაველას პიროვნების და ცხოვრების შესახებ გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ამირან პრაგული.**

–ბატონო ამირან, ვაჟა–ფშაველას ბიოგრაფები პოეტის დაბადების თარიღად 1861 წელს ასახელებენ,

თავად ვაჟა–ფშაველა კი –1862 წელს. რატომ?

–მაშინ ასეთი მოწესრიგებული არ იყო ახალშობილის დაბადების ზუსტი თარიღის დაფიქსირება. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მის ბიოგრაფებს ასეთი განსხვავებული აზრი შეექმნათ. თავად ვაჟა–ფშაველა თავის დაბადების თარიღად 1862 წლის 15 მაისს ასახელებს, ხოლო მისი ბიოგრაფები –1861 წლის 14 ივლისს. პროფესორმა იუზა ევგენიძემ, რომელიც პოეტის ცხოვრებას და შემოქმედებას იკვლევდა, დაადგინა, რომ ვაჟას დაბადების თარიღია ის, რასაც თავად პოეტი მიუთითებს.

პოეტის დაბადება ჩვეულებრივი არ ყოფილა. როდესაც ის დაიბადა, ისეთი დიდი თმები ჰქონია, რომ თვალებს უფარავდა. ვინც მის დაბადებას შეესწრო, ყველამ განსხვავებული და უჩვეულო მომავალი უწინასწარმეტყველა. მართლაც, მისი ცხოვრება ყველასგან განსხვავებული და გამორჩეული იყო.

–რაზიკაშვილების გვარის წარმომავლობაზე რას გვეტყვით?

–თავად ვაჟა–ფშაველა წერდა, წმინდა ფშაველი ვარ, დედითაც და მამითაც. მაგრამ მკვლევართა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ რაზიკაშვილები მოდიან ღუდუშაურებიდან. ღუდუშაურების საგვარეულო სოფელი ხევის სოფელი სნოა. სნოში ღუდუშაურები რამდენიმე გვარად იყოფიან: შიოლაშვილები, აქიაშვილები და ასე შემდეგ. სოფელ სნოდან წამოვიდა ღუდუშაურების გვარის კაცი, რომელიც ჯერ ცაბაურთთემში დასახლდა, მერე აფხუშოში, ბოლოს კი –ჩარგალში. პოეტის შორეული წინაპარი რაზიკა იყო, სწორედ ამ სახელიდან წარმოიშვა მისი გვარი.

–ვაჟა–ფშაველას განსაკუთრებით უყვარდა თავის წინაპრებზე საუბარი.

–კი. მათი საგმირო საქმეებით ყოველთვის მოხიბლული იყო. გადმოცემის თანახმად, ვაჟა–ფშაველას პაპის მამა, იმედა რაზიკაშვილი, თეთრ ცხენზე ამხედრებული, შიშის ზარს სცემდა ფშავში მოთარეშე ლეკებს. როდესაც იმედა გარდაიცვალა, მასზე ხალხური ლექსებიც შეიქმნა.

–მის მშობლებზე რას გვეტყვით?

–მამამისი, პავლე რაზიკაშვილი, იმ დროისთვის საკმაოდ განათლებული პიროვნება ყოფილა. მისი ოჯახი არაფრით განსხვავდებოდა სხვებისგან. პავლე ისეთივე უქონელი, ისეთივე ღარიბი, მაგრამ მშრომელი ადამიანი იყო. მე–19 საუკუნის შუა ხანებში სკოლაში სიარული და წიგნების კითხვა აუგ საქმედ ითვლებოდა. მშობლები შვილებს სკოლაში სიარულს და წიგნის კითხვას უშლიდნენ, მაგრამ პავლე მამამის გივის არ უჯერებდა და სწავლას განაგრძობდა. გივიმ შვილს ვერაფერი რომ ვერ შეაგნებინა, თოფით დაედევნა მოსაკლავად. ამ ინციდენტის შემდეგ პავლე იძულებული გახდა, სწავლის მისაღებად კახეთის ერთ–ერთ მონასტერში წასულიყო. იქ კარგად შეისწავლა საღვთო წიგნები და საღვთო რჯული. ფშავში რომ დაბრუნდა, მთავარ დიაკვნად დანიშნეს მაღაროსკარში და ჩარგალში. ბოლოს ჩარგალში დაბრუნდა და სიკვდილამდე ჩარგალში ცხოვრობდა.

პოეტის დედა, გულქან (ბარბარე) ფხიკლეშვილი, თიანეთის რაიონის სოფელ სხლოვანიდან იყო. გულქანი უკეთილშობილესი ქალი ყოფილა. ჩარგალში, შორით მომავალ მგზავრს რომ დაინახავდა, შინ შეიპატიჟებდა, მოასვენებდა, დააპურებდა და ისე გაუშვებდა თავის გზაზე. ამაზე თურმე პავლე ხუმრობდა, სახლი წყალს და ქარს წააღებინაო. თავად ბევრი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ რაც ჰქონდათ, ყველას უზიარებდნენ.

პავლეს და გულქანს 6 შვილი შეეძინათ: გიორგი, მართა, ლუკა (ვაჟა–ფშაველა), თედო, ნიკო (ბაჩანა) და სანდრო (ალექსანდრე).

პოეტს ერთდროულად დაეხოცა მშობლები. 1890 წლის სექტემბერში ჯერ დედა გარდაეცვალა, მომდევნო თვეში კი –მამა. მშობლების გარდაცვალებამ დიდად იმოქმედა პოეტზე. მიუხედავად იმისა, რომ 6 და–ძმანი იყვნენ, ჩარგალში, მამა–პაპის ფუძეზე მხოლოდ ვაჟა–ფშაველა დარჩა. დანარჩენები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ. მისი ერთ–ერთი ძმა, თედო, თბილისში, ხელთუბანში ცხოვრობდა. თუმცა, ერთმანეთთან მისვლა–მოსვლა და დიდი სიყვარული აკავშირებდათ.

–როგორც ცნობილია, მომავალ პოეტს წერა–კითხვა მამამ შეასწავლა.

–პავლემ თავიდანვე შეამჩნია, რომ პატარა ლუკა ნიჭიერი და სწავლას მოწყურებული იყო, ამიტომ 8 წლის ასაკში შეიყვანა თელავის სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში ლუკამ 6 წელი გაატარა, მაგრამ ეს წლები მისთვის საინტერესო და ბევრის მომცემი არ ყოფილა. სასწავლებელში აიძულებდნენ ლათინური და ბერძნული უაზრო ფრაზების დაზეპირებას, ეს კი ლუკა რაზიკაშვილის გემოვნებას არ ესადაგებოდა. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ იმ საკლასო ოთახში, სადაც ბავშვები მეცადინეობდნენ, ლუკასთვის ადგილი არ გამოინახა. ის მთელი ორი წლის განმავლობაში საკლასო ოთახის ბუხარში იჯდა, საიდანაც თვალყურს ადევნებდა სწავლის პროცესს.

თელავის სასულიერო სასწავლებელში ლუკა რაზიკაშვილი იწერებოდა რაზიკოვად. ლუკას ხიბლავდა საკუთარი გვარის არაქართული ხმოვანება და ბევრი მისი პირველი კორესპონდენცია (ფშავიდან, ხევსურეთიდან) რაზიკოვის ხელმოწერით არის გამოქვეყნებული.

–თბილისის და გორის სემინარიებში გატარებულ წლებზე რას გვეტყვით?

–თელავის სემინარიის შემდეგ ვაჟამ სწავლა თბილისის სამოქალაქო სემინარიაში გააგრძელა, მაგრამ არც თბილისში ყოფნის პერიოდი იყო მისთვის საინტერესო. თბილისში თავის გიმნაზიელ მეგობარ ანდრიევთან ერთად, ანტონ ფურცელაძესთან მივიდა (მაშინ ანტონ ფურცელაძე უკვე ასაკოვანი მწერალი იყო) და თავისი 15 ლექსი, რვეულში გადაწერილი, აჩვენა. რვეულს ეწერა "ლუკა რაზიკაშვილის ლექსები". ანტონ ფურცელაძემ რვეული დაიტოვა და ლუკა რამდენიმე ხნის მერე დაიბარა. ბუნებრივია, ხანდაზმულ მწერალს ძალიან მოეწონებოდა ლექსები და შეხვედრის დროს დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველა.

ვაჟა–ფშაველა თბილისშიც გაუტეხავი სულის ადამიანი იყო, ვერ იტანდა, უბრალო ადამიანის შვილებს არისტოკრატის შვილები რომ დასცინოდნენ და ჩაგრავდნენ. ამიტომ მათ აბუჩად იგდებდა და ხშირად მუშტი–კრივში იწვევდა. განსაკუთრებით უყვარდა მუშტაიდის ბაღში მეგობრებთან ერთად ყოფნა. მუშტაიდის დარაჯებმა ახალგაზრდა ვაჟას მეტსახელად "ჭროღა (თუთის სიყვარულის გამო) ფშაველი" შეარქვეს. მალე ლუკა თბილისიდან გორის სემინარიაში გადავიდა. გორის სემინარიის დირექტორმა სემიონოვმა პირველმა დაინახა და დააფასა ახალგაზრდა ლუკაში ის ნიჭი, რაც მან შემდგომში გამოავლინა.

–ვინ და რატომ შეარქვა ლუკა რაზიკაშვილს ვაჟა–ფშაველა?

–ეს სახელი პეტერბურგში ყოფნის დროს შეარქვეს. პეტერბურგში იყვნენ წოვა–თუშები, ცისკარიშვილები, მათ ძალიან მოსწონდათ ლუკა და სულ ამბობდნენ: ნახეთ, როგორი ვაჟია ფშაველიო. სწორედ აქედან წამოვიდა მისი ფსევდონიმი ვაჟა–ფშაველა.

პეტერბურგში ლუკას და გიორგის რესტორანში მოკრივესთან და 25 კაცთან მოუხდათ ჩხუბი, თვითმხილველები გაოცებულნი ყოფილან, როგორ მოერია 2 ქართველი ამდენ ხალხსო. ამბობენ, რომ ვაჟამ ამ ინციდენტის გამო დაწერა ლექსი "არწივი".

– თუმცა, ამ ლექსის დაწერის ისტორიას პატრიოტიზმს და ქალთან დაკავშირებულ ამბავსაც უკავშირებენ.

– დიახ, ამ ლექსის შექმნის ისტორიას პოეტის ცხოვრებიდან რამდენიმე შემთხვევას უკავშირებენ. ვაჟა-ფშაველა როდესაც შინამასწავლებლად დადგა თიანეთის მაზრის სოფელ ოთარაშენში, თავად ამილახვრის ოჯახში (ამილახვრის ვაჟს, გიორგის ასწავლიდა), იქ გაიცნო და შეუყვარდა თავად ამილახვრის უკანონო შვილი, კეკე (ეკატერინე) ნებიერიძე, რომელიც მოსამსახურედ იყო. კეკე ულამაზესი ქალი ყოფილა, მაგრამ სუსტი აღნაგობის და ტანმორჩილი. ამიტომაც ახალგაზრდა გარდაიცვალა 1902 წელს. ვაჟას მისგან 4 შვილი დარჩა. როდესაც ვაჟა–ფშაველას ოთარაშენიდან მოჰყავდა კეკე ჩარგალში, თავისიანებს შეუთვალა, მცხეთასთან დამხვდითო. მცხეთიდან არაგვის ხეობაში წავიდნენ და მაღაროსკარში გაჩერდნენ. მაღაროსკარში ვიღაცა უშნოდ წაექილიკა ცოლთან დაკავშირებით, ვაჟა–ფშაველამაც არ მოითმინა და ყური ჩამოათალა. ლექსში "არწივი" დაჭრილ სამშობლოსაც გულისხმობენ.

–თქვენ რომელი ისტორია მიგაჩნიათ სწორედ?

–ჩემი აზრით, ეს ლექსი შეიქმნა სამშობლოზე, რადგან ვაჟა–ფშაველა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავგამოდებული მებრძოლი იყო. 1905 წლის რუსეთ–იაპონიის ომი ყველასთვის ცნობილია, ისიც ცნობილია, თუ რა ემუქრებოდა საქართველოს მაშინ. ვაჟა–ფშაველა მოთავე იყო ფშავ–ხევსურების შეკრებისა, სიტყვითაც გამოდიოდა. მაღაროსკარის ეკლესიაში და აფხუშოში ხატობაზე ხალხს მოუწოდებდა ერთიანობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისკენ. გადმოცემის თანახმად, სოფელ აფხუშოში (დღეს ამ სოფლის კვალიც აღარ არსებობს) ხატობაზე ვაჟამ მთიელები დააფიცა საქართველოს ერთგულებაზე, ხანჯლით ცერი თითი გადაისერა და სისხლი ღაჭაურას მუზარადს (სოფელ აფხუშოში ღაჭაურა ცნობილი გმირი იყო, რომელიც ლეკებს ებრძოდა, მათი ბელადიც მოკლა) დააწვეთა. არსებობს ფოტოსურათი, სადაც ვაჟა–ფშაველას მარცხენა მუხლზე ხმლით ჩაჭრილი ღაჭაურას მუზარადი უდევს. ვაჟა–ფშაველა რისკზეც მიდიოდა. მთელი ორი კვირის განმავლობაში ტყიდან არ გამოსულა, რადგან სდევნიდნენ, თუმცა, დაჭერასაც ვერ ბედავდნენ.

–რატომ არ იჭერდნენ?

–იმიტომ, რომ მის დაჭერას მთაში დიდი მღელვარება მოჰყვებოდა.

–ვაჟა არ დაიჭირეს, მაგრამ მისი შვილი, ლევანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობრობას შეეწირა.

–დიახ. ლევანი ქაქუცა ჩოლოყაშვილის გიმნაზიის მეგობარი იყო. მერე ფშავში პოლიციის უფროსად მუშაობდა. იმის მაგივრად, რომ ქაქუცა ჩიხში მოემწყვდია და დაეჭირა, პირიქით, ეხმარებოდა, რომ მშვიდობიანად გაეღწია ფშავის მთებიდან და პანკისისკენ წასულიყო. ეს არ აპატიეს და ლევანი დახვრიტეს.

–როგორი იყო ვაჟა–ფშაველა შემოქმედების პროცესში?

–ის ამ დროს სხვა სამყაროში გადადიოდა. არ უყვარდა, როდესაც მუშაობას ვინმე შეაწყვეტინებდა. წერდა ჭრაქზე, ლამპის შუქზე. ბუნებით ფიცხი იყო, მაგრამ მალე გადაუვლიდა ბრაზი. სათიბში ან სახნავში როცა მუშაობდა, რაღაცა გაახსენდებოდა, მიატოვებდა სამუშაოს, სახლში წავიდოდა, მაგიდას მიუჯდებოდა და წერდა.

– ლიტერატორები ხმამაღლა ერიდებიან იმის თქმას, მაგრამ საუბრისას აღნიშნავენ, რომ ვაჟა–ფშაველა ილია ჭავჭავაძეს უფრო აფასებდა, ვიდრე აკაკის.

–ილია ჭავჭავაძე ვაჟა–ფშაველას პოეზიას რომ გაეცნო, გულწრფელად აღნიშნა, შოთა რუსთაველის შემდეგ ასეთი დიდი პოეტი არ გვყოლიაო. აკაკიმ კი ენა დაუწუნა: ენას გიწუნებ, ფშაველოო. სავსებით შესაძლებელია, რომ მან ეს პოეტური შურით და ჯიბრით გააკეთა. აკაკის ეს რომ არ ეთქვა, ვაჟა–ფშაველა არ დაწერდა შედევრს "დაგვიანებული პასუხი". ვაჟა–ფშაველა ილიასთან საგურამოში ხშირად ჩადიოდა. ერთხელ ჩარგალშიც კი მიიწვია ილია. ილიას ჩარგალში ძალიან კარგი მასპინძლობა გაუწიეს, კალმახი დაიჭირეს, ხინკალი გააკეთეს და ჟიპიტაური მიირთვეს.



მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

სულით პოეტი

სულ ცოტა ხნის წინ ჩვენი თანამემამულის, წარმოშობით არბოშიკელი ქალბატონის, პოეტის ნინო ალადაშვილის ლექსების კრებული გამოიცა. კრებულს სახელად „ამომიცანი" ჰქვია, რომელიც შემოქმედის ცხოვრების სულიერ სისუსტეებს, ქალურ სევდასა და სიხარულს გადმოგვცემს. წიგნის პრეზენტაცია ლიტერატურის სახლში პოეტის დიდ სამეგობრო წრეში მოეწყო.

-„ნინო გაზაფხულის მესიტყვეა, როგორც ზამთარში მდინარეები წყალნაკლულები არიან და გაზაფხულზე ადიდდებიან, ასევეა მისი შემოქმედება. ასეთივეა მისი სიყვარული დაბადების, სიცოცხლის, შემოქმედების მიმართ. ეს ცხოვრებისეული ბედნიერების, მაჟორისა და სევდის რექვიემის პოეზიაა. ქალური ლირიზმი, გრაცია, გრძნობების ჯადოსნური სიმფონია, უსაზღვრო ზღაპრული ფანტაზიები. სატირული პოეზია, პოეტური სარკაზმი, ანაქრონიზმი უაღრესად თანამედროვე ღირებულებებში, ოსტატობით ამაღლებული და მშვენიერი სიცოცხლის ჰიმნი. პოეზიით მარადიული ორსულობა, სადაც სიტყვები ხან დარდიმანდად ილხენენ, ხან ლაღად, უზრუნველად ცელქობენ, ხშირად სევდის, მწუხრის კაეშნით ღელავენ, ეს ნინოს ლექსია! ეს ცხოვრების ხმაურია, სადაც ყოველი ჩვენგანის პულსის ფეთქვა ისმის. პოეტის შემოქმედება ერთი შეხედვით საკუთარ თავთან საუბარია, თუმცა იმდენად გლობალურია მისი ნააზრევი, ყველას გულებში წყაროსავით მიედინება და თანადგომას, ნუგეშის განცდას იწვევს. ფლობს რა ერთნაირი სიძლიერით ვერლიბრის მოდერნისტულ, თავისუფალ ლექსს, არა წერს ტექნიკით, არამედ შინაგანი პოეტური აზროვნების, ბუნებრივი ხმის გამოძახილით. უშუალო აღსარებით, ტკივილით, სევდით და სიხარულით იბადება ეს სტრიქონები. ნინოს შემექმედების აპოთეოსი, არქიტექტურა პოეზიაში, ფორმათა, ხაზთა და ჩუქურთმათა სრულყოფილებაში იგრძნობა მისი დაუოკებელი სული ძიების, ბრძოლის, ქმედების, შენების („ვაშენებ, ვანგრევ") გვაძლევს რა ირეალურობის პოეტურ მატერიალიზებს."-ამბობს ნინო ალადაშვილზე წიგნის წინასიტყვაობის ავტორი მამუკა ესაძე.

ისღა დაგვრჩენია, ჩვენს მკითხველს კრებულიდან „ამომიცანი" ნინო ალადაშვილის ლექსები დავაჭაშნიკებინოთ.

ხვალ

მე არ მწამს ხვალის და მძულს ეს სიტყვა,
იქნებ დადგეს ხვალ, ან იქნებ არა,
ის სიხარული დღეს მინდა მქონდეს,
რაც ვიცი, რომ არ მექნება მარად.
დღეს მენატრები! დღეს მინდა შენთან!
სულ ცოტა მინდა, ბევრი კი არა,
ხვალ ვიცი,წვიმა წალეკავს სადგომს
და მეც დამტოვებს ბედის ამარა.
ხვალ შეიძლება, ნისლი ჩამოწვეს,
ვერ დავინახო ზეცა კრიალა,
ხვალ შეიძლება ცხოვრებაც მორჩეს
და გაქრეს ყველა ღია იარა.
ხვალ შეიძლება მოვარდეს ქარი,
თმა გამეწეწოს, მაქციოს ქალად,
ხვალ შეიძლება მეც სხვისი გავხდე
სხეულით მხოლოდ...გულით კი-არა!

ველი გაზაფხულს

ზამთრის სუსხია...მზე არსად ჩანს
და მენატრება,
რძისფერ ნისლშია ჩაძირული
მთელი სამყარო,
ვხუჭავ თვალებს და ჩაუმქრალი
მზე მელანდება,
ჩუმად, ჩურჩულით
ვეკედრები:იქნებ გამათბოთ?!
გარეთ კი ისევ ზამთარია-უნდო,
უფერო,
მზის მოლოდინში გასუდრულა
ირგვლივ ყოველი,
რა ქნა? რა ვუყო? ამ ბედურებს
რითი ვუშველო?
მეც მათთან ერთად მობუზული
სითბოს მოველი.
თუმცა მოლოდინს უსაშველოდ
მძაფრად განვიცდი,
მზეს არ ვაჩვენებ ამ დიდ სევდასგულში ჩამარხულს,
როგორ შევხვდები დაღალული
მის სხივს, არ ვიცი,
და ისევ ველი. მაინც ველი... ველი
გაზაფხულს!

როცა შენ დაიბადე (შვილს)

ერთი მუჭა სახე გქონდა,
ცრემლიანი თვალი,
ერთი ნახვით შემიყვარდი,
ბაწაწინა მარი.
მაშინ მივხვდი, რად მოველი
მე ამ ქვეყნად ქალი,
შენი სურნელი რომ მეგრძნო,
თვალხატული მარი.
იმის მერე შენით ვცოცხლობ,
შენით გადის წამი,
სანამ შევძლებ, გამოგწვდები,
სულსათუთა მარი.
მე ვიქნები დედაც, მამაც,
და-ძმაც, მეგობარიც,
ოღონდ შენ არ შემიშინდე,
დედისერთა მარი.

მე ისევ აქ ვარ

მე ისევ აქ ვარ... მე ისევ აქ ვარ,
რადგან ვერასდროს ვერ შევიცვლები,
რადგან მზე მაინც ვერ აღნობს
მყინვარს,
ვერ დამშვიდდება ჩქარი ზვირთები.
მე ასეთი ვარ...გინდათ, მიმიღეთ,
გინდათ, დამგმეთ და ქვებით
ჩამქოლეთ,
ან დამსაჯეთ და მერე მიტირეთ,
ან შემიყვარეთ, თქვენთან დამტოვეთ.
თვალთაგან ცრემლი თუ არ
მედინა,
რისთვის მოვედი ცოდვილ
მიწაზე?!
რად მინდა გული, თუ არ მეტკინა?!
რად მინდა ჯვარი, თუ არ ვეწამე?!
და აი, ისევ აქ ვარ და ისევ ის ვარ,
ვიუავი, ვარ და ასე ვიქნები!
არ ვნანობ იმას, რაც ვარ და ვინც
ვარ,
ბირობას ვდებ, რომ არ შევიცვლები!

გაზაფხულს მარქმევ

მე მიყვარს, როცა გაზაფხულს
მარქმევ,
ვიცინი და მას ასე ვიფერებ:
აპრილს კვირტების სინორჩეს
ვართმევ,
მაისის-ვარდის სურნელს ვიჩემებ.
შენ ამბობ, როგორ მეცვლება
ფერი
როცა ვსესხულობ მარტისგან
სახეს.
როგორ ჩაგესმის კისკისი ჩემი
როცა იგონებ ჩემს ახალ სახელს.
აი, ილევა ეს გაზაფხული,
ჩემი ცელქობაც დასრულდეს
იქნებ,
მოდი, დამარქვი ჭრელი ზაფხული
და მეც ბებელა მინდორში ვიფრენ!

რომელი დაავადების დროს სად უნდა დავისვენოთ

ადამიანთა დიდი უმრავლესობა ტრადიციულად ყოველწლიურად მიემგზავრება ზღვაზე. რატომ ვლახავთ ასობით კილომეტრს და მივმგზავრებით ზღვის სანაპიროსკენ?

მოღრუბლული დღეებითა და ერთფეროვნებით დაღლილი ჩვენი ორგანიზმი ინსტიქტურად მიიწევს მზისა და ზღვისკენ. მზის სხივები ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ორგანიზმში D ვიტამინის წარმოქმნას, გააჩნია ბაქტერიოციდული მოქმედება, აუმჯობესებს ორგანიზმის ტონუსსა და იმუნიტეტს.

ექიმები მზის აბაზანებს ურჩევენ კანის ზოგიერთი დაავადების, რაქიტის, ცუდად შეხორცებადი ჭრილობების, ტუბერკულოზის, ფილტვების დაავადებების დროს, თუმცა არსებობს უკუჩვენებებიც: სიმსივნე, ანთებითი პროცესი, ენდოკრინული დაავადებები.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ზღვის წყალი. სანაპიროზე დასვენება უკვე დიდი ხანია აღიარებულია მკურნალობად და მას თალასოთერაპია ეწოდება. ზღვის სუფთა, ოზონით, იოდითა (განსაკუთრებით შავ ზღვაზე) და ზღვის მარილებით მდიდარი ჰაერი პრაქტიკულად ყველასთვის შეიძლება სასარგებლო იყოს. სადღაც ქრება სტრესული მდგომარეობა, ფილტვები თავისუფლად იწყებს სუნთქვას, ორგანიზმიც კაჟდება. ბანაობა, ცურვა, ზღვის წყლის აბაზანები ერთდროულად სასარგებლო ფიზიკური დატვირთვაცაა, ინჰალაციაც და მთელი სხეულის მსუბუქი, "ტალღისებური" მასაჟი.

დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ კლიმატურ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთლობისთვის. ამიტომ გაჯანსაღების მიზნით კურორტზე გამგზავრების წინ უნდა შეარჩიოთ გარკვეული კლიმატური პირობები, რომელიც სწორედ თქვენ მოგიხდებათ. სწორად შერჩეულ კლიმატს ადამიანზე დროის მცირე მონაკვეთის განმავლობაში საოცრებების მოხდენა შეუძლია. იგი ხსნის:

დაღლილობას,
დეპრესიას,
სტრესს,
ნერვოზს,

ამსუბუქებს ქრონიკული დაავადებების მიმდინარეობას და აფერხებს ახალი დაავადებების განვითარებას.

იმისათვის, რომ შვებულება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ გავატაროთ, სწორად უნდა შევარჩიოთ დასვენების ადგილი და გავარკვიოთ, რომელი კლიმატი იქნება ჩვენთვის ყველაზე კარგი.

სანატორულ-კურორტული დასვენება ითვლება მკურნალობის უფრო მეტად ფიზიოლოგიურ და ბუნებრივ მეთოდად, რომელიც გამოიყენება მრავალი დაავადების დროს. კურორტებზე მკურნალობა ხორციელდება კომპლექსურად, რომლის დროსაც ყურადღებას უთმობენ სამკურნალო ფიზკულტურას, მოძრავ, დინამიკურ თამაშებს, მატრენირებელ და გამაჯანსაღებელ პროცედურებს.

გახსენება

ეთერ სეხნიაშვილი

ისე ჩუმად და უპრეტენზიოდ წახვედი ამ ქვეყნიდან, როგორც ცხოვრობდი, ჩვენო ეთო. ძალიან მოულოდნელი იყო ყველასთვის შენი გარდაცვალება. ზოგმა ძალიან გვიან შეიტყო, ზოგმაც საერთოდ ვერ გაიგო. დაგვაკლდი ყველას-შენს მეგობრებს, თანამშრომლებს, ოჯახის წევრებს, მეზობლებს, პაციენტებს. კარგი მეგობარი იყავი, ერთგული ჭირის მოზიარე და ლხინში გვერდში მდგომი, თავმდაბალი და პირში მთქმელი. პატარა გოგო მოხვედი დედოფლისწყაროს პოლიკნილიკაში და აქედან ვალმოხდილი წახვედი. ბევრი დარდი და ვარამი გქონდა გულში-დედის ხანგრძლივი ავადმყოფობა, მეუღლისა და ძმის უეცარი სიკვდილი, ალბათ კიდევ ბევრი რამ, რასაც არავის ანდობდი. მაგრამ მაინც ყველაფერს მედგრად იტანდი, არაფერს იტყობდი, ბურჯად ედექი შენს ოჯახს, ყოველთვის მხნე და ხალისიანი იყავი. ამიტომაც გაგვიკვირდა შენი სიკვდილი. ყველაზე მეტად კი, იმაზე გვწყდება გული, რომ სათანადოდ ვერ დაგემშვიდობეთ და ვერ გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე. ასე მოხდა. ძალიან ხშირად გიგონებთ, ჩვენო ქოთქოთა მეგობარო. მოსაგონარს რა დაგვილევს ამდენი წლის თანამშრომლებს. როგორც ყოველთვის, ახლაც მოგილოცავთ დაბადების დღეს. ელიათბას ხომ ყოველთვის ერთად აღვნიშნავდით ჩვენს დიდ დღესასწაულს და შენს დაბადების დღეს. ყოველთვის გვემახსოვრები და დიდი სიყვარულით მოგიგონებთ. ახლა მაინც იძინე მშვიდად. მსუბუქი იყოს შენს დაღლილ და დარდით სავსე გულზე დაყრილი მიწა.

დედოფლისწყაროს პოლიკნილიკის თანამშრომლები.

კულტურისა და სპორტის დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაცია და მისი თავმჯდომარე ნელი გობეჯიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გია ქავთარაძეს დედის

სიდო ლაზვიაშვილ-ქავთარაძის

გარდაცვალების გამო.

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში, შირაქის ქ. N 98-ში (რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე) გაიხსნა მიცვალებულთა სარიტუალო ატრიბუტიკის სახლი. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ხის, ასევე რკინის საეკლესიო სუდარა, შეუკვეთოთ კუბო ჯვრები თქვენი ან მათი მასალით. დარეკეთ:
557 139 022.

მხატვართა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

ყოველთვის, როდესაც ჩვენი კუთხე ზეიმობს, ასე მგონია, რაღაც განსაკუთრებული, ამაღელვებელი აღმაფრენა ისადგურებს თითოეული ჩვენი მოქალაქის გულში. ამ დროს ჩვენს ძარღვებში იღვიძებს მიძინებული სისხლი და იწყებს ფეთქვას, რადგან დღესასწაულები გვაახლოვებენ ჩვენს სიწმინდეებთან, ჩვენს ტრადიციებთან და კულტურასთან. ამ დროს სული ყივის სიხარულისგან. თითქოს ჩვენი ისტორიის ახალი ეტაპი იშლება, რომელსაც დრო და ჟამი თავისთვის იწერს. ყველაფერი, რაც რაიონში ხდება, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც აისახება და ასე ვხდებით რაიონის მემატიანეები. 1-2 აგვისტო დედოფლისწყაროელებისთვის განსაკუთრებული დღეებია, ჩვენ ორ დიდ საეკლესიო დღესასწაულს აღვნიშნავთ, წმინდა სერაფიმე საროველისა და წმინდა ელია თეზბიტელის ხსენების დღეს. ამას მეორე წელია, კიდევ ერთი დღესასწაული „დედოფლისწყაროობა" დაემატა, რომელიც მაშინდელმა ჩვენმა გამგებელმა, დღეს გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა დააწესა.

სწორედ ამ დღეებში რომელი კუთხიდან აღარ ჩამოდიან მშობლიურ დედოფლისწყაროში, ყველა ცდილობს, ეს ორი დღე მშობლიურ სახლებში გაატაროს, რადგან მათ საკუთარი კუთხის სიყვარული ეძახით. დიდი ხნის უნახავი ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, კითხულობენ ერთურთს, შეხარიან, ერთად ლოცულობენ და ამაშია მთელი ამ დღესასწაულების ხიბლიც.

უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი პირველ აგვისტოს, სერაფიმე საროველის ხსენების დღეს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის წინ მდებარე სკვერში, სადაც ამ დღეს 13 შემოქმედის გამოფენა გაიმართა. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ფესვები დედოფლისწყაროში აქვთ, დღესდღეობით ქალაქში მოღვაწეობენ და ეს გამოფენა მათთვის პირველი გამოფენა გახლდათ საკუთარ რაიონში.

მელანო ზედელაშვილი, - ძალიან ვღელავ, რადგან დღეს ჩემი ნაქარგები პირველად გამოვიტანე სამზეოზე, ამას ისიც ემატება, რომ შემფასებელი ჩემი რაიონის საზოგადოება გახლავთ. ამაღელვებელი გრძნობაა, ამასთან საპასუხისმგებლო.

გია ალუღიშვილი - თავად დედოფლისწყაროდან ვარ წარმოშობით, ჩემი ფესვები აქედანაა, წლებია სამხატვრო აკადემიაში ხეში კვეთას და ხელოვნებას ვასწავლი, პარალელურად საპატრიარქოს ყველა პანსიონში ვმუშაობ მასწავლებლად, ვასწავლი ფერწერას და ხეში კვეთას, დედოფლისწყაროსთან ამჟამინდელი ჩემი შეხება ძირითადად ტაძრების შესასვლელებზე და კანდელზე მუშაობაა. ამჟამად დავასრულე ზემო მაჩხაანის მთავარანგელოზის ეკლესიის შესასვლელი, ვმუშაობ ელიის კანდელზე.

აქვე გამოფენილი იყო ქეთევან საბიაშვილის, სოფიო კირვალიძის, ლალი ტოზაშვილის, დეა ალუღიშვილის, მარინა ღვინიაშვილის, გია ყაჭაშვილის, სოფიო ღვინიაშვილის, გიორგი ბოჭორიშვილის, ქეთი პოლიკაშვილის, სახელოვნებო სახლ „ფესვების" და ლიკა ნატროშვილის ნამუშევრები.

გამოფენის ორგანიზატორი გახლდათ გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი თამარ თამაზაშვილი და კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ნიკვაშვილი.

გამოფენას ესწრებოდნენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი აღზრდის და რაიონში არსებული სხვა სამსახურების თანამშრომლები. აქვე გახლდათ კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ლალი მეხრიშვილი

1 აგვისტო სერაფიმე საროველის ხსენების დღეა!

ღირსი სერაფიმე საროველი (ერობაში პროხორე მოშნინი) რუსეთის ეკლესიის ერთ-ერთი წმინდანი დაიბადა კურსკში 1754 წლის 19 ივლისს (ახ. სტილით 1 აგვისტო). პროხორემ სიყმაწვილეშივე გადაწყვიტა, თავი უფლის მსახურებისთვის მიეძღვნა. 1778 წლის 20 ნოემბერს იგი საროვში ჩავიდა. წმინდანმა საროვის სავანეში 8 წელი დაჰყო მორჩილად, შემდეგ კი ბერად აღიკვეცა და ეწოდა სერაფიმე. ერთი წლის შემდეგ სერაფიმე ბერ-დიაკვნად აკურთხეს. 1825 წ. 25 ნოემბერს ღვთისმშობელმა მას გამოცხადებით მოუწოდა ხალხის სამსახურისკენ და ამ დღიდან წმინდანის კელიის კარი ღია იყო ყველა მსურველისათვის. მოძღვარი ჭვრეტდა აღმსარებლების გულებს და ღვთისადმი აღვლენილი ლოცვებით კურნავდა მათ სულიერ და ხორციელ სნეულებათაგან. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ლოცვის დროს ჰაერში ამაღლებულიც კი უნახავთ. 1833 წლის 2 იანვარს (ახალი სტილ. 15 იანვარი), დილით მისი კელიის კარი რომ გააღეს, დაინახეს, წიგნებსა და სხვა ნივთებს ცეცხლი მოსდებოდა. მამა სერაფიმეს კი ღვთისმშობლის ხატის წინ სული უფლისთვის მიებარებინა. მრავალი სასწაული მოხდა ღირსი მამის წმინდა ნაწილების გახსნისას და მოყოლებული ამ დღიდან, წმ. სერაფიმეს საფლავთან და მის წყაროსთან რწმენით მისული ყველა ადამიანი იღებს კურნებას. სოფელ ჯაფარიძის წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარი, სავარაუდოდ, ამოქმედდა 1903 წელს. იგი აშენებულია გრაფი სეჩენოვის შემოწირულობით და წარმოადგენს XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურულ ძეგლს. იგი ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა და უნიკალურია იმით, რომ ამ წმინდანის სახელობაზე აგებული სხვა ტაძარი საქართველოში მხოლოდ ორია. სოფელს XIX საუკუნის ბოლოს რუსი ახალმოსახლეები უწოდებდნენ სეჩენოვკას. ეს სახელი დაკავშირებულია სწორედ იმ გრაფის გვართან, რომელმაც გაიღო დიდი შეწირულობა ამ ტაძრის ასაშენებლად. ეკლესია აშენდა სოფლის განაპირას, შემაღლებულ ადგილზე. სამწუხაროდ, ტაძარი მხოლოდ ორი ათეული წელი იყო მოქმედი. კომუნისტური ხელისუფლება ამ ტაძარს სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდა. 2009 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები, რომელსაც „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი" აფინანსებდა, ხოლო ტაძრის აღდგენით სამუშაოებს შპს „სტანდარტი-A" ახორციელებდა, რის შედეგადაც გაითხარა ტაძრის საძირკველი მთელ პერიმეტრზე და მოხდა მისი გამაგრება რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, ასევე, განხორციელდა ტაძრის გამოქარული და დაბზარული ადგილების გამაგრება. 2010 წლის ბოლომდე ლითონის კონსტრუქციებით დაიდგა ეკლესიის გუმბათი, მოპირკეთდა, გადაიხურა და დაიგო იატაკი.



გილოცავთ წმინდა სერაფიმე საროველის ხსენების დღეს! დაესწარით მრავალს, გფარავდეთ!

ИЧИДЕБА

მეცხოველეობის ფერმა, სოფ.ხორნაბუჯში. შენობის ფართი 568 კვ.მ. უზრუნველყოფილია წყლით და ელექტროენერგიით.

☎ 593 96 94 04

ИЧИДЕБА

ოროთახიანი ბინა კორპუსში ქ.დედოფლისწყარო, მარჯანიშვილის ქ. N23, კორპ. 36. საერთო ფართი 70 კვ.მ

☎ 557 47 42 74

ИЧИДЕБА

კაპიტალური ორსართულიანი აგურის ბინა 9 ძმის ქ.N-6-ში, მეზობლად მდებარე სახლში წილის ფლობით.

☎ 598 47 56 21

ЧУРАДЦЕБА!

ჰერეთის ქუჩაზე, საჯარო რეესტრის გვერდით, გაიხსნა მაღაზია „ტანსაცმელი ევროპიდან", სადაც იყიდება მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმელი. გთხოვთ, მობრძანდეთ 10 საათიდან 18 საათამდე. **აქ შეიძენთ საუკეთესო ხარისხის ევროპულ ტანსაცმელს ხელმისაწვდომ ფასად.**

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 04.08		სამშაბათი 05.08		ოთხშაბათი 06.08		ხუთშაბათი 07.08		პარასკევი 08.08		შაბათი 09.08		კვირა 10.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
28 °	23 °	30 °	22 °	30 °	22 °	31 °	23 °	31 °	25 °	32 °	24 °	32 °	27 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K